სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

თავადი გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა, თავ. გრიგოლ გივის ძე ციციშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა თვისთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა და მეორე ქალისა
კნ. ელისაბედ გრიგოლის ასულის ჩიჩუასი
23 მაისს, შუადღის 12 საათზე პანაშვიდის შემდეგ ძველი-სენაკის მაცხოვრის ეკკლესიაში, მიცვალებული გარდატანილ იქნება უფლის-კარში, სადაც დაიკრძალება 24 მაისს. (1)

ქართული წარმოდგენა
საზაფხულო თეატრ „ერმიტაჟ“-ში.
კვირას, 24 მაისს
ქართული თეატრის აქტორებისაგან წარმოდგენილი იქნება
I
დედა და შვილი
დრამატიული ეპიზოდი ერთ სურათად, თხზ. თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა
სხვათა შორის ქართული ხორო შეასრულებს
„ქართველო ხელი ხმალს იკარ“
II
ზანუმა
4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა
დასასრული ლეკური
ადგილების ფასი 20 კაპიკიდამ 1 მ. 60 კაპიკამდე.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზე
სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
წლიური საზოგადო კრება
„შუამავლისა“
ეს კრება, რადგან პირველი არ შესდგა, „კანონიერი იქნება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრობა მას წილის პატრონი (იხ. წესდ. § 21)“.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები

საქველ-მოქმედო
ბაზარი
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს
თავად-აზნაურობის (არწრუნისეულ) ქარვასლის ბაღში.
ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათ.
ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.
ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი.
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.

აქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები
ბრჭყალები,
3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.
ივდითი,
ტრაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—22)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 27 მაისს
მელიტონ ბალანჩივაძე
გამართავს
კონცერტს
აღსრულებულ იქნება სხვა-და-სხვა ახალი სიმღერები და რომანსები ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი.
სხვათა შორის შეასრულებენ ერთს სცენას ოპერის მესამე მოქმედებიდან
თამარ ცბიერი
და ჰიმნი
სამშობლო ხევსურისა
მუსიკა მ. ბალანჩივაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი, ქალთა და ვაჟთა ხორო.
ხორო და ორკესტრი მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8½ საათზე

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—10)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ა. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ— დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

განისვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
დაფასება სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ.
ასრულებს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорьевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—22)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას
(პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ.—3 საათამდე

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловская ул. № 146
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ.
(150—141)

გამოვიდა და ისყიდება
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა
სპარსეთის მეფე
და
ქართველი ტყვე
პოემა
თავ. კოწია დადიანისა
ფასი 2 კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 40 კ.
ორასი — — 2 მ. 50 კ.
სამასი — — 3 მ. 60 კ.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

აკაკის სურათი
ფერად წამლებით დახატული
ალექ. ბერიძის მიერ
იყიდება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (3—3)

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად დამტკიცებულის ხელმწიფე იმპერატორისაგან, მარტის 26 დღეს 1898 წელსა, მინისტრთა კომიტეტის ჟურნალის ძალით დადგენილია:

1) ნება მიეცეთ ოსმალთა ქვეშევრდომთ-გადმოსახლებულ სომხებს დაბრუნდნენ კავკასიიდან ოსმალეთში; ყოველ მათგან ოსმალთა ქვეშევრდომ სომეხს, რომელიც-კი განაცხადებს სურვილს ისარგებლოს აღნიშნულ ნება-რთვით, არ ევალებათ შესრულება საბაჟო (სატამოჟნო) წესებისა, ხოლო უნდა წარმოადგინონ ადგილობრივ პოლიციის მოწმობა.

2) მიეცეს უფლება კავკასიის მთავარ მართებელს: ა) უმაღლესის ბრძანების დღიდან ერთის წლის განმავლობაში გადაასახლოს კავკასიიდან ოსმალეთში ყოველი გამოსული ოსმალთა ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც-კი არ ისარგებლებს პირველ მუხლში მოხსენებულ ნებართვით მინისტრთა კომიტეტის ამა დადგენილობისა; ამ შემთხვევაში მთავარ-მართებელი აღმოუჩენს თავის შეხედულებით დახმარებას მეწირულ და მოგროვილ ფულიდგან; ბ) ეს განკარგულება საყოველთაოდ დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამოცხადებული.

უმაღლესი ესე ბრძანება საყოველთაოდ განეცხადება ტფილისის გუბერნიაში.

ნამდვილზე ხელი მოაწერა ტფილისის გუბერნატორმა თ. ბიკოვმა.

დაამტკიცა კანცელარიის მმართველმა დ. ტირიუტინმა.

მართალია: მმართველი კანცელარიისა ტირიუტინი.

შემოწმებულია: უფროსი თანაშემწე მისი მიხაილოვი.

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი ასესორობა: ნუხის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ ნამყოფს ზურაბიშვილს და ხახიჩევანის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ ნამყოფს თავადევზირიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა—მიწის მზომლის უფროს თანაშემწეს ნაცვლიშვილს და კოლეჟსკი რეგისტრატორობა—მიწის მზომელის უფროსს თანაშემწეს კოკაშვილს.

## ახალი ამბავი

*** აკაკის ჩამოსვლა. ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი გუშინ-წინ საღამოს ტფილისში ჩამოვიდა; პოეტი ამ ჟამად გვარიანად არის მოკეთებული, თუმცა ავადმყოფობას შესამჩნევად დაუსუსტებია.

*** მინისტრის გამგზავრება. გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი გუშინ, საღამოს 7 საათზე, ბაქო-

ში გაემგზავრა საგანგებო მატარებლით.

*** **მით. დედაბრიშვილი** გადაუყვანიათ დუშეთის მაზრიდან გორის მაზრაში სურამის და ბორჯომის საბოქაულოში იმავე თანამდებობაზე, ესე იგი ვეტერინარად.

*** **კახეთის რკინის გზა.** 20 მაისს ტფილისის გუბერნიის მარშალი თ. მუხრან-ბატონი იყო სადარბაზოთ გზათა უწყების მინისტრთან. მინისტრი შეჰპირდა თავადს, რომ კახეთის რკინის გზის საქმე ამ ზამთარს განხილულ იქნება სახელმწიფო რჩევაში. ამის შემდეგ მინისტრი სადარბაზოდ იყო თავ. მუხრან-ბატონთან.

*** **საზოგადო ბანკი ჯარისათვის.** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს გხნზრახვა აქვს მოაწყოს წელს ჯარისათვის საზოგადო ბანკი ნავთლუღში.

*** **გეგმის გადაღება სვანეთში.** სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ტოპოგრაფების დასს ჰგზავნის სვანეთში გეგმების გადასაღებად. წელს გადაწყვეტილია დასრულდეს ტოპოგრაფიული მუშაობა ქუთაისის გუბერნიაში და მომავალ წლიდან შეუდგებიან ტოპოგრაფიულ მუშაობას ყუბანის ოლქში.

*** **ყვავილებისა, ნაყოფებისა და ბოსტნეულობის გამოფენა.** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება გამართავს 24, 25 და 26 მაისს ყვავილების საგაზაფხულო გამოფენას და აგრეთვე ნაყოფებისა და ბოსტნეულობის მე-6 კერძო გამოფენას.

გამოფენა გაიმართება საზოგადოების პავილიონში მეაბრეშუმეობის სადგურთან და გაიხსნება 24 მაისს, ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო უკანასკნელ ორ დღეს — დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე; გამოფენაზე შესვლა ღირება 20 კ. 25 მაისს დანიშნულია ყვავილების დღესასწაული, ქალაქში გაიმართება სეირნობა ყვავილებით მორთულ ეტლებითა და ველოსიპედებით. აგრეთვე ამ დღეს დანიშნულია სადილი ხელის-მოწერით.

ყვავილების დღესასწაულში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა მიჰმართონ საზოგადოების ბიუროს კავკ. მეაბრეშუმეობის სადგურში და ხელის-მოწერის დროს უნდა შეიტანონ საზოგადოების კასაში თითო მან. ეტლზე და ველოსიპედზე წვრილი ხარჯებისათვის დღესასწაულის გასამართავად. ყვავილებით საუკეთესოდ მორთულ ეტლისა და ველოსიპედისათვის დანიშნულია საზოგადოების მიერ თითო პრიზი ხელის-მოწერით. ხელის-მოსაწერი ფასი სადილზე მუსიკით 4 მანეთია თითო კაცზე. ხელის-მოწერა მიიღება ყვავილების მაღაზიებში კ. პ. კვესთან, რ. ვ. მეიერთან („ფლორა"), მიხეილის ქ., კავალევსკისთან (კავკ. მეაბრ. სადგ.), გერმანის ფოტოგრაფიაში (ბარიათინსკის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე) და ტერ-სარქისიანის მაღაზიაში (სასახლის ქ.)

*** **ახალი წიგნი.** წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „[illegible]" ამ ჟამად შესდგომია ჩვენის ცნობილ მწერლების ლექსთა კრების გამოცემას, რომელსაც ეწოდება „სადღეგრძელოები". წიგნი უკვე იბეჭდება „ცნ. ფურცლის" სტამბაში და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად.

*** **ავჭალის ქუჩის უსუფთაობა.** ავჭალის ქუჩაზე, დაწყებული ეგრედ წოდებულ მაზუტის მისახვევიდან ნიკოლოზის მოედნამდე მოსცურავს თხელი აყროლებული ლაფი. ეს ლაფი ჩნდება პატარა წყაროსაგან, რომელიც გამოდის ქალაქის ადგილზე მყოფ კლდიდან; ამ წყაროს წყალი გადის ნავთის საზოგადოების „სვეტის" ეზოზე. აქედან მას მიჰყვება მაზუტი და სხვა სიბინძურე და ასე ატალახებული გადადის ეს წყალი ავჭალის ქუჩაზე მაზუტის მისახვევიდან. ეს 2 თვეა არსებობს ეს სისაძაგლე და ქალაქის გამგეობის შენობათა განყოფილება კი მას ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მართალია, ტეხნიკოსებმა ავჭალის ქუჩაზე მაზუტის მისახვევთან ამოთხარეს 4 ღრმა ორმო, შიგ ტალახიანი წყლის ჩასაშვებადა. მაგრამ მხოლოდ ამოთხარეს და ისე მიაგდეს; ამასთანავე ეს ორმოები არც კი დაჰხურეს რიგიანად, ასე რომ თუ გამვლელი ძალიან ფრთხილად არ მოიქცა, ადვილად ჩასძვრება მათში; გარდა ამისა, ორმოებიდან ამოთხრილი მიწაც დაყრილია ქუჩაზე და ტალახიანი წყალი კი მოდის და მოდის.

ეს გარემოება ხმოსანს ხუდადოვს თავის დროზე ქალაქის მოურავისათვის უცნობებია, რომელსაც უპასუხნია, შესაფერ ზომებს მივიღებ მაგ სისაძაგლის მოსასპობადო. მაგრამ ქალაქის მოურავს თავისი დაპირების ასასრულებლად დღემდე ყურიც არ გაუბერტყნია და ბ. ხუდადოვი იძულებული გამხდარა გაზ. „ნოვ. ობ."-ში გამოეცხადებინა თავისი სამართლიანი საჩივარი. როგორც ხედავთ, ძაან მოურავი ჰყოლია ჩვენს ბედნიერ ქალაქს...

*** **სოფ. ჭაგანი** (იმერეთი). **ეკკლესიის გაძარცვა.** 18 მაისის წინაღამით გაძარცვეს ადგილობრივი ოქონის ეკკლესია; ბოროტ-გამზრახველთ გაუტეხიათ სკივრი და მასში მყოფი ფულიანი ყულაბა, საიდანაც ამოუღიათ ფული და ჩაუჯიბავთ; მეორე ყულაბა, რომელშიაც უფრო ბევრი ფული იყო, სულ წაუღიათ თან. სკივრშივე იყო ხელსახოცში გამოკრული ფული, რომელიც ქურდებს ვერ შეუნიშნავთ. ეჭვი მიიტანეს 2-3 პირზე, რომლებიც გაჩხრიკეს ხევისთავებმა, მაგრამ ვერაფერი უნახეს. 19 მაისს დილით ეკკლესიის მნათემ ნახა ეკკლესიაში ხელსახოცი და დაეკითხა ყველას, ვისია ეს ხელსახოციო, ერთმა 14 წლის ბიჭმა განაცხადა, ეგ ხელცახოცი ჩემიაო. ბიჭი მაშინვე შეიპყრეს და მამასთან ერთად წაიყვანეს სასოფლო სასამართლოში. მამამ რა დაინახა, საქმე გლახადაა, გაიქცა შინ, მოარბენინა მეორე ხელსახოცი და განაცხადა, ხელსახოცი ჩემ ბიჭს სახლში დაუტოვებია და არა ეკკლესიაშიო და ეკკლესიაში ნახული ხელსახოცი სრულიადაც არ არის ჩემი შვილისაო. რომ ამ მამაშვილს ქურდობაში მონაწილეობა მიუღიათ, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ეკკლესიაში შესვლა ქურდებს ფანჯრის შემწეობით მოუხერხებიათ, ფანჯრიდან კი, სივიწროვის გამო, მხოლოდ ბავშვს შეეძლო შეძრომა, რომელმაც შემდეგ ალბად ეკკლესიის კარებიც გააღო შიგნიდან. („ნოვ. ობ".)

*** **აჭარა. ყოფა-ცხოვრება ხალხისა.** ოციოდე წელიწადია რაც აჭარა, ნაწილი ძველი საქართველოისა, მაგრამ ჟამთა-ვითარების გამო დაშორებული სრულიად შემოგვიერთდა. სამიოდ საუკუნომ განვლო მას შემდეგ რაც აჭარლები — ეს ჩვენი ღვიძლი ძმები ოსმალოს უღელ ქვეშ ქედ-მოხრილი ალლაჰს ადიდებს. ამ დროს განმავლობაში მაჰმადიანთ ბატონობამ ამათ ცხოვრებას თავისი ფერი დასდო, მაგრამ სრულიად კი ვერ გააქარწყლა მათი არსებობა. მართალია ამ ქრისტეს მადიდებელი ქართველი ერის ნაწილმა, „ცეცხლითა და მახვილითა" მამა-პაპის რჯული დაჰკარგა და მაჰმადის რჯულის აღმსარებელი შეიქნა, მაგრამ დედა-ენა, (თუმცა თათრული ენით შელახული) და ქართველური ზოგი ჩვეულება დღემდის შეირჩინა. თავისი ჩამომავლობა — ჩვენ ქართველების სისხლით ნათესაობა აჭარლს დღესაც სწამს. სიტყვა „ქართული" მისი მიხვდენით ქრისტიანობას ნიშნავს და გინდა მის თვალწინ მაჰმადი გელანძღვიოს თუ უთხარი ქართველი ხარო. ეს ძველი ქრისტიანები დღეს მტკიცე მაჰმადიანებად ქცეულან. ასერივე შეურაცხყოფა იქნება, რომ გურჯობის სახელი წაართვა. ის თავის თავს გურჯს უწოდებს. ეს კი არ იცის, რომ გურჯი „ქართველს" ნიშნავს. რომ ჩვენც ისეთივე გურჯები ვართ როგორც ისინი ამის მტკიცება აჭარელს არ სჭირია. ეს მასაც სწამს, რომელთაც უკანასკნელი რუს-თათრის ომის შემდეგ რუსის კანონს დაუფთხნენ და ოსმალოში გადაიხვეწნენ, იმათ ამ გურჯობით იქაურ ბინადარ ხალხთა შორის, იქაც ძალიან მოსწონთ თურმე თავი და ამ თავის ჯიშს არ კარგვენ, რადგანაც იქაურებში ას ტომის ხალხს დიდი ფასი აქვს.

როგორც ზევითა ვსთქვით თათრულ ენას ქართული ენა აჭარაში შეულახავს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ჩვენში უცხო ენებმა იქონიეს გავლენა. რაც ქართული დარჩენილა, ის კი ნამდვილი ქართულია, ისეთი ქართული, რომელიც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში არც კი იციან „ახო", „ნაფუზარი", „ჯამბარა" და სხვა ბევრი. ეს ხომ ქართული სიტყვებია და ვეჭვობ, რომ ქუთაისის გუბერნიაში ხმარობდნენ. რაც შეეხება დღესასწაულის მიგებებას ეს კი ნამდვილათ ქართველურათ იციან. მაჰმადიანთ უდიდესი დღესასწაული „ყურბა ბაირამია" და ამ დღისათვის დიდ მზადებაშია ქართველი მაჰმადიანი, ისე როგორც ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულისათვის. დღესასწაული სამს დღეს გასტანს და პირველი დღე უდიდესია დანარჩენ ორ დღეზედ. ყველა შეძლებული ამ დღისათვის ძროხავს ჰკლავს და ღარიბებს ურიგებს. სახლშიაც დიდ სამზადისის შეკრება. სხვა და სხვა ნაირი ტკბილეულობა და ტკბილი სასმელები შეუმკობენ სუფრას. სხვა და სხვა შეჭამადი მართლა რომ უთვალავი იციან. დიდის სიხარულით და გულ მხიარული ულოცავენ ერთმანეთს ბაირამის გათენებას. ამ დღეს, როგორც ჩვენს ძველებს ჩვეულებათ ჰქონიათ, ჭიდაობა იმართება. ვერ წარმოიდგენთ რა ნაირ მართლა და გმირულ ხასიათს იჩენენ მოჭიდავენი.. მოწინააღმდეგენი უეჭველად პირ და პირ უნდა შეებან ერთმანეთს. თუ ერთმა მეორე ამ ჭიდაობის დროს მეორე ზურგის მხრიდან შემთხვევით ხელში ჩაიგდო არა და არას დროს ამ რიგად დაცემას არ იკადრებს, ხელს გაუშვებს ჩ პირ და პირ შეტაკებით უნდა დასცეს. არც დაცემულთ გამოქომაგება და არც საწყენი სიტყვების გასროლ-გამოსროლა არ შეიძლება. დანარჩენი ორი დღეებიც უქმეებია, მაგრამ არა ისე, როგორც პირველი.

აჭარელი ხასანაი

*** **ფოთი. უწეს-რიგო ქუჩა.** ფოთში სხვა ქუჩებთა შორის, არა უკანასკნელად ითვლება ესრედ წოდებული „ივანოვის ქუჩა". ამ ქუჩაზე განწყვეტელი მოძრეობაა ხალხისა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამავე ქუჩაზე ცხოვრევრებენ მეძავი ქალები, რომელთა სიტყვები „აქ მობძანდით, ყმაწვილო, შენ რომ გინდა და ეძიებ ის აქ არის"-ო. ამ სიტყვებით თავი მოაძულა უნამუსო „ციცებმა" ამიტომ ფრიად საჭიროა ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევდეს ამ საქმეს. იმედია პირველ ნაწილის პოლიცია, რომელიც ამ ქუჩაზე ცხოვრობს, ცოტათ თუ ბევრად, ალაგმავს უნამუსო „ციცეებს", თორემ მეტი ღონე არ არის და იძულებული ვიქნებით ამ სიცხე პაპანაქებაში ან დაკეტილ სახლში დავიმწყვდიოთ თავი ან არადა სრულიად მოვშორდეთ ამ ქუჩას...

— **ქალაქის წარმატება.** რაც დიდად პატივცემული ბ. ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავი გახდა მას აქეთ ფოთი გამოკეთდა, სხვა ელფერი მიიღო ქალაქმა. არ არის ისეთი წვრილი საგანი ფოთში, რომ ქალაქის თავი თვისი გინსაკუთრებითი ყურადღებას არ აქცევდეს. ერთის სიტყვით, ფოთი თანდა-თან წარმატებაში შედის. ეჭვი არ არის, რომ მხნე ქალაქის თავი ფოთს იმდენს შესძენს, რაც აქაურებს, არც-კი დაესიზმრებოდათ.

— **პირველ მაისის ბურთაობა.** თუმცა-ღა პირველ მაისის წინა დღით წვიმა იყო, მაგრამ ამ დღეს მაინც კარგი მზიანი დღე დაიჭირა. ხალხი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი შეიკრიბა. ნაშუადღევის სრულს ხუთ საათზედ ბურთი გააგდეს. საათ ნახევარის თამაშისა და წეწვა გლეჯის შემდეგ მეგრელებმა გაიმარჯვეს. ბურთი გურულებიანათ მეგრელებმა „ლელოზე" მიიტანეს.

— **კარგი ამინდები.** ამ ჟამად აქეთ მშვენიერი და კარგი ამინდები სდგას. 10 მაისამდე მოღრუბლული დღეები იყო და ოდნავ სიცივებიც. ხოლო მას აქეთ კი სიცხეები საკმაო დაიჭირა.

ტელეფონი

*** **ს. რკვია** (ზემო იმერეთი). **ეკკლესიის უქონლობისა გამო.** აგერ რამოდენიმე წელიწადია, რაც დაუვიწყარის მღვდელ-მთავრის განსვენებულის გაბრიელის დროს მრევლმა ოქმი დაადგინა, რომლის ძალითაც ძველი ეკკლესია უნდა გადაეკეთნად ახალ ეკკლესიათ ისევ ხის მასალით. საქმისა რიგანათ წასაყვანად და დასაბოლავებელათ მრევლმა აღმოარჩია კომიტეტი. ამ კომიტეტმა მოიწვია საუკეთესო ოსტატები და შეუკრეს მათ პირობა შემდეგის შინაარსისა: სოფელს უნდა მიეტანა ყველაფერი მასალა და ხელობა-კი ოსტატების უნდა ყოფილიყო. ოსტატები ვადაზედ აღარ გამოცხადდნენ ამათაც მასალა აღარ დაამზადეს, რადგან ოსტატები აღარ მოვიდნენ და შემდეგ დაიწყეს ოსტატებმა საჩივარი პირობის ძალით და სასამართლოში საქმე წააგეს. მას აქეთ არის ეს ეკლესია მიუხედავათ გადუხურავი და დაძველებული, რომ გაავდარდება ხეს ქვეშ გაჩერება სჯობია, მინემ იმაში. არავინ ყურადღებას არ აქცევს.

— **გზების უვარგისობა.** არა მგონია თუ რომელიმე სოფელი ისე შევიწროებული იყოს უგზოობით, როგორც ჩვენი რკვია, აქ შეუძლებელია ცხენით მოგზაურობა. ვერსად ცხენით ვერ წახვალთ ჯერ ისედაც კლდეებია და მერმეთ სადაც სწორი გზები იყო იქაც ლობეები ჩაღობეს, ერთმანეთის მტრობით. რკინის გზის სადგურზე მისვლა, რომ გინდოდეს, ცხენი ერთ ვერსზედ უნდა დააბა და მერე კი ქვეითად უნდა იხტუნო ლობეზედ და ვენახებზედ, ხოლო თუ მოგასწრეს, ვაი თქვენი ბრალი. ქართული ანდაზისა არ იყოს: „მწყერი ერთხელ ხეზედ შეჯდომას შეესწროვო და ისიც მაშინ მოუტყდაო", ჩვენ რკვიელებსაც ისე გვემართება სწორედ. რკვის სადგურს მოვესწარით და სადგურამდე მისვლას კი ვეღარა! არ იმქნა ვერ ვეღირსეთ იმისთანა მამასახლისს, რომელსაც გზების გაუმჯობესობისათვის ეზრუნოს. იმედია ჩვენი პატივცემული ბოქაული მაინც მიაქცევს ყურადღებას ამის თანა უწესოებაზედ.

იპოლიტე გაჩეჩილაძე

*** **დ. ხაშური. ცეცხლის გაჩენა.** ამ თვის 15-ს, ღამის ორ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ივანე სიხარულიძის ორ-სართულიან სახლს, რომელიც სულ გადაიწვა. როგორც ამბობენ, ცეცხლი წინა კიბის ქვეშ გაჩენია. გაკვირვებულნი არიან ვინ გაუჩენდა ცეცხლს, რადგანაც შიგ ცეცხლი არასოდეს არა ჰქონიათ და არც დაზღვეულ ყოფილა სახლი. ცეცხლი ისეთ დროს გაჩნდა, როცა შიგ ყველა ეძინა, მაგრამ კონდუქტორების მაღვიძებელმა ყარაულმა გაიგო, როდესაც კონდუქტორების გასაღვიძებლად მოდიოდა, უეცრივ ცეცხლი დაინახა და გაოცებული მივარდა სახლის ფანჯრებს და ჩა[…] ამტვრია. ყველამ გამოიღვიძეს დ[…]

…წყეს საბრალოდ ყვირილი. აგ…ვე ხალხიც საკმაოდ მოგროვ…, მაგრამ ვერა უშველეს-რა, …მურების ავეჯეულობა ყველა …ოიტანეს, მაგრამ ზოგიერთმა …სის ქონების მოყვარულებმა …ლაფერი დაიტაცეს. ბოქაულმა …ლი შემწეობა აღმოუჩინა, ჩაფ…ებიც დააყენა, მაგრამ რას გააწ…ბდნენ ამდენ ხალხთან. არამც …ვაჟკაცებს, ქალებსაც-კი ბალი…ბი მიჰქონდათ მიშველების მაგი…ად. ზარალი 4000 მანათი იქ…ა. სახლის პატრონი დღეს ცო…ეთა და შვილებით მინდვრად იმ…ფება.

რაფიელ

*** **ახალ-სენაკი. გამოსათხოვარი სადილი.** კვირას, 10 მაისს, …ლ-სენაკელებმა გამოსათხოვებელი სადილი გაუმართეს სენაკის მა…ზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნს …ე ალექსის ძე ლაზარენკოს, …მელიც მთავრობისაგან გადაყვა…ლ იქმნა ოზურგეთის (გურია) …ზრის უფროსად. პატივცემული …ა. ლაზარენკო ყოვლად პატი…სანი და გულ-კეთილი ადამიანი …. მისი გული ყველასათვის და …ველს საზოგადო საქმეში ღია …ო. ამიტომაცაა, რომ მთელი მა…ა დიდად სწუხს ამ ადამიანის …დაყვანას. ქალაქის დეპუტატებმა …ძნობიერი და მადლობის სიტყვა …ახსენეს. აგრეთვე მრავალი სიტ…ები წარმოითქვა სადილზე. სუ…ითა და გულით ვუსურვებთ ბ-ნ …აზარენკოს ახალ თანამდებობაზე …ვე გულ-კეთილობის და სიბე…თის გამოჩენას. ხოლო ჩვენთვის …სურვებთ, რომ ლაზარენკოს მო…გილესაც ისეთი მხნეობა და მდა…ო ხალხისადმი გულ-შემატკივ…რობა გამოეჩინოს, როგორც ლა…რენკოს.

ტრიფონ კალანდარიშვილი

*** **სოფ. ალი** (ქართლი). **მკითხავის შეპყრობა.** ამას წინეთ „ც. …“-ში მქონდა ლაპარაკი ერთის …მა მკითხავის ოინბაზობაზედ, ეს …ითხავი ამას წინეთ თავისი მხ…ებლებით მობრძანდა ს. ალში … სოფელში შემოსვლისთანავე … გარს შემოეხვია აუარებელი …ლხი; ყველანი შორიდგან აწვ…დნენ ფულს და ერთი ერთმა…ის ეჩხებოდნენ, არა ჯერ მე …და ვაკითხვინო და არა მეო, … მკითხავსაც ეს უნდოდა. მის …ანგებოდ დიდ ჯიბეში იმდენი …ლი ჩაჩხრიალობდა, რამდენიც …ნი ვერც ერთ საუკეთესო აფ…აქს ეღირსოს ერთი დღის გან…ლობაში. სხვათა შორის, მივიდა …კითხავთან, ბლელი მკითხავი …ლ-კაცი, რომელიც აგრეთვე …ავდა მოხსენებული „ც. ფ.“-ში … რომელსაც მამის ერთა ვაჟი …მოაკვდა რაღაც წამლით. ამ მკი…ავმა დედაკაცმა მიმართა ბრმა …ითხავს შემდეგის სიტყვებით: …უფალო მკითხაო! მე მიცნობთ …ქვენ, როგორც ჩემს ბრძანებელს … მეუფროსე ბატონს და აგრეთ… მწამს ყოველივე შენი ბძანება … მიმაჩნია სრულ ჭეშმარიტებად … იმას გთხოვ, რომ ჩააგონოთ … ხალხს, რომელიც თქვენ გარს …ევვიან და გააგებინოთ ამ უგ…ჩაურებს, თუ როგორ შემიძლია …ითხაობა და ან რამდენათ შემილია ყოველივე მომავლის და მოხდენილის ზარალის გაგება?!“ ბრმა მკითხავსაც ესიამოვნა ხალხის წინაშე ქება-დიდება და ხმა-მაღლა და ამაყად უპასუხა: „შენ ისეთი ადამიანი ხარ, რომ იშვიათია შენისთანა გამოსადეგი დედა-კაცი. შენა ხარ მონა ატოცის წმიდის გიორგისა, რომელიც მუდამ წინ გიძღვის და გესაუბრება იდუმლათ და გაგებინებს ყოველივე მიზეზს კაცის ზარალისას და მის წამლობას, შენ შეგიძლია ყოველივე გაუგო და შეუწყო უმტყუნრათ წარსული და მომავალი ზარალი“. ხალხიც დიდ განცვიფრებით ისმენდა ბრმა მკითხავის ლაპარაკს და ზოგმა კიდეც ირწმუნა მისგან ნაქები მკითხავი. ამაღელვებელ მკითხაობის დროს გაჩნდა მამასახლისი თავის ჩაფრით, ბრმა მკითხავი დაიჭირა და წაიყვანა დასამწყვდევად და ოქმის დასადგენათ, მაგრამ როდესაც თილისმის ენით მატყუარამ ხვეწნა დაუწყო მამასახლისმაც აღარ დაადგინა ოქმი და გაუშვა ისევ სათარაშოთ. ბრმა მკითხავიც სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა და გათამამებული იმ აზრით, რომ ვერასფერი დამაკლესო გაუდგა სხვა სოფლების გზას თავისი სამსახურის შესასრულებლად… საკვირველია ღმერთმანი რომ ასე ანავარდებენ მკითხავებს! ალბათ იმ აზრით, რომ „პალაჟენიაში“ არ უწერიათ მკითხავის დაჭერა.

მედავითნე სერგო

*** **ცხინვალი.** (ქართლი) **ცოტ-ცოტა ყველაფერზე.** დაბა ცხინვალი სერებიდგან სასიამოვნო სანახავია. კარგა მოზრდილ ხეობაში გაშენებულია მრავალი ვენახი და ვენახებში, კაკლებთა და სხვა ხეხილთა შორის, გამოსჩანან ყავრიანი სახლები. ერთს ადგილას-კი შეჯგუფულა ქვითკირისა თუ ხის შენობები ყავრით დახურულნი; ზოგი მათგანი კოხტად გამოიცქირება, რავდენიმე შნოიანათ არის გაგოზვილი, ალბად ეკუთვნის რომელიმე მაჩაბელს ან მდიდარს სომეხს. შნოიანად გამოიყურება ეკლესიაც, ცხინვალის ნორმალური სასწავლებელიც და თორაც.

გარეგანი შეხედულება ცხინვალს ასეთი აქვს. აბა შებრძანდით ახლა თვით დაბაში, სრულიად წინაალმდეგსა ნახავთ. ქუჩების უსუფთაობაზე ნულარას ვიტყვით; ეს სნეულება თვით ჩვენს დედა ქალაქს თბილისსაცა სჭირს და ვინ დასძრახავს დაბა ცხინვალს, ზოგი ერთი ხის სახლი ისე ძალზეა დაფახირებული, რომ გასაკვირველია რატომ აქამდე არ ჩაიქცევა: ზოგიც თითქო აპირებს გვერდზე წამოწოლასაო მომეტებული ნაწილი სულ ხის ძველი შენობებია, ერთი-ერთმანეთზე მიყრილი. ღმერთმა დაიფაროს კია და თუ ერთს სახლს როგორმე დაუდევრობით ცეცხლი გაუჩნდა, ცხინვალის უმთავრესი ნაწილი რავდენიმე საათში მთლად გადაიბუგება.

ვიწრო და მიღრეცილ-მოღრეცილ ქუჩებში რავდენიმე სახლის კედელზე ნახავთ საქონლის ტყავებს გაკრულს; ალბად გასახმობად თურმე სახლის პატრონი თითო აბაზს იღებს ყასპებისაგან ერთ ტყავის გახმობაში, ესეც გარგი მოგონებაა ღმერთმანი; სახლის კედლები პატრონს მეტ ლუკმას მისცემს (თვეში 8—20 მან.) ხომ ტყუილად არის აყუდებული კედელი, რატომ არ უნდა ვისარგებლოდ.

ქუჩაში მაღლიდგან, ფანჯრიდგან თუ ბალკონიდგან, მოურიდებლათა ჰყრიან ნაგავსა, სულ ერთია მათთვის თავზე ვისმეს დასცვივა თუ არა. ფოსტა-ტელეგრაფის და სადგურის გვერდზე თეთრად შეღებილ მორგვალებულ ბალკონიდგან ერთმა დიასახლისმა ბუმბულიანი ხალიჩა თუ ფარდაგის ძველი გადმობერტყა და მე იქავე დუქანში უნდა შემეფარა თავი, რომ არ დავგუნლილვიყავ ბორტყლებით, რომელიც მთლად ქუჩაში მოსდო ქარმა. გავოცდი, რომ მითხრეს, განათლებული რუსის ცოლიაო. მაგათზე პირველად არ შემდგარა განაჩენი უსუფთაობისათვისა.

ცხინვალში სანიტარები არიან თუ არა, არა ეტყობარა და თუნდაც იყვნენ, რას გააწყობენ, როდესაც სისუფთავეს არ დასდევენ ის პირნიც, რომლებისაგანაც დარიგებასა და შველას უნდა მოველოდეთ.

ვაჭრობა და აღებმიცემობა ცხინვალში გაცხოველებულია, დუქან-ბაზარი მრავალია, არის აგრეთვე დამაზავებელი სასამართლო, ფოსტა-ტელეგრამის განყოფილება გამსესხებელ-შემნახველის კასით, ორ კლასიანი ნორმანული სასწავლებელი.

ცხინვალის საზოგადოება კარგა დიდია, მაგრამ დროს გასატარებელი არა აქვს რა. საღამოზე ლიახვის ბოგირზე დასეირნობენ და მხოლოდ აქა ნახავთ ერთად თავშეყრილს შლიაპოსნებს, კაკარდიანებსაც, მოზარდ თაობასაც, მარაოსნებსაც და მანდილოსნებსაც. საღამოს ათს საათამდე ლიახვის ბოგირზე დასეირნობენ და შემდეგ კი ერთი გუნდი ამ საზოგადოებისა, რომელიც ცხინვალის ინტელიგენციისაგან შესდგება, გათენებამდე „ვერტუშკას“ თამაშობით იკლავენ დროს. ამ თამაშობას შესჩვევიან ჩვენი მანდილოსნებიც. დანარჩენებს ამ დროს რასაკვირველია ღრმადა სძინავთ. არავინ თავობს დაიქირავოს ერთი დარბაზი, რომ იქ სუყველამ საერთოდ დრო გაატაროს ცეკვით თუ ჟურნალ გაზეთების კითხვით.

წიგნთ-საცავიც დაუარსებიათ ერთხელ როდისღაც, თურმე სუყველა გაზეთები თბილისისა ქართული თუ რუსული მოსდიოდათ, მრავალი წიგნიც შეუძენიათ შემოწირულებით თუ სყიდვით, მაგრამ წიგნ-საცავი ამ ჟამად გაუქმებულია. ამასაც ამბობენ, რომ წიგნებიც მრავალია დაფანტული და არავინ არის ანგარიში მოსთხოვოს მათ, ვისაც ბიბლიოთეკა ებარათ. ცხინვალის ინტელიგენციას, ამ განათლების ბაირალტანებს, სადა სცალიანთ, გართულნი არიან „ვერტუშკათი“.

მამა პიროსელი

*** **აბაშა** (სამეგრელო). **მადლობის გამოცხადება.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე მშობლებიდანაც, რწმუნებულ ჩემ მიერ აბაშის საზოგადოების სამინისტრო სკოლის შეგირდებისა, მცხოვრებს ამავე საზოგადოებაში, მეორე გილდის ვაჭარს, პეტრე ანდრიას ძე ქორთავას, რომელმაც ამ წლის 20 მარტს შემოსწირა აბაშის საზოგადოების სკოლას ოთხი სურათი, მშვენივრად მოვარაყებულ ჩარჩოებში: ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცასი, მთელი მათი ოჯახობისა და ერთიც მაცხოვრის ხატი, სულ ღირებული ათ მანეთად.

აბაშის სამ. სკოლის მასწავლებელი ვ. ნოდია

## მწიგნობრობა

მოწ. თეკლეს ცხოვრება. ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნაკი „ცხოვრება ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორის თეკლესი“, მ. შარაძის მიერ გადმოღებული და მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან გამოცემული. წიგნაკი შეიცავს 24 გვერდს და შიგ ჩართულია სურათი მოწ. თეკლესი და სურათებიანი ანბანი. წიგნაკი ღირს ერთი შაური.

## სამეცნიერო ცნობა

### საზოგადო დასკვნა საზრდოს შესახებ.

ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე საზოგადო დასკვნა გამოვიყვანოთ იქიდან, რაც სხვა და სხვა ქვეყნების მცხოვრებთა საზრდოს შესახებ გავიგეთ.

ეჭვი არ არის, რომ ადამიანი, ცოტად თუ ბევრად, ყველაფრის მჭამელი ცხოველია; მაგრამ ამასთან შეგვიძლია საზოგადო კანონად მივიჩნიოთ ისა, რომ ადამიანის საზრდოს დედამიწაზე უმეტეს ნაწილად მცენარეობა შეადგენს. ეს აზრი შეუმცდარია განსაკუთრებით ცხელი და თბილი ქვეყნების მცხოვრებთა შესახებ. ყველა პირვანდელი დიდ-დიდი განვითარებული საზოგადოებანი, რომლებიც ცხელსა და თბილ ქვეყნებში გაჩნდნენ, ყველაზე უწინ რამდენიმე გვარი შინაური მცენარით სულდგმულობდნენ. ეს მცენარეები სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა გვარია. მექსიკაში, მაგალ., სიმინდი და მანიოკი იყო, პერუში — კარტოფილი და ერთგვარი ფეტვი (კანოა); ჩინეთში ვხედავთ ბრინჯს, აფრიკაში — სორგოს და სხვ..

შინაურ მცენარეობასთან უნდა მოვიხსენოთ შინაური ცხოველებიც. დასაჯერებელია, რომ ადამიანთა თვალსაჩინო ჯგუფები მხოლოდ მას უკან გაჩნდნენ, როცა ადამიანმა მოიშინაურა რამდენიმე გვარი ცხოველი, რადგან ჯოგის მოვლა-პატრონობისათვის უთუოდ საჭიროა ერთად ცხოვრება. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მეჯოგეობა, მეორე მხრით, დამაბრკოლებელიც იყო ადამიანის წინ-მსვლელობისათვის; მეჯოგეობის შემწეობით შესაძლო იყო მხოლოდ ადამიანთა თვალ-საჩინო ჯგუფების შექმნა; ხოლო მტკიცედ მოწყობილი დიდი საზოგადოება ადამიანთა მანამდე არ შესდგებოდა, სანამ ადამიანი მეჯოგეობას თავს დაანებებდა.

ეს დიახ ასეა, მაგრამ მკითხველი იმას ნუ-კი იფიქრებს, რომ ყოველმა ტომმა უთუოდ მეჯოგეობის სანა უნდა გამოიაროსო; ასეთი ფიქრი შემცდარი იქნება იმიტომ, რომ მრავალ ტომს, მაგალითად; პოლინეზიელებს, ახალ გვინეელებს, ან კიდევ ძველ პერუელებს, არასოდეს არ უცდიათ ჯოგის მოშენება; ხოლო ახალ კალედონიელს, რომელიც უკვე მისდევს მიწის მუშაობას, სრულიად არაფერი გაეგება ცხოველების მოშენების შესახებ.

ერთი სიტყვით, ადამიანი სცხოვრობს ისე, როგორც შეუძლია და როგორც ბუნება უჩვენებს. იგი იმას ხმარობს საზრდოდ, რასაც მას ბუნება აწვდის; ამიტომ ჩვენ ვერ დავადგენთ ისეთ გარდუვალ და უცვლელ კანონს, რომელსაც ადამიანი უთუოდ ემორჩილებოდეს თავისი ცხოვრების წეს-რიგის შექმნაში. მისი ცხოვრების წესრიგი თავდაპირველად ბუნებაზეა დამოკიდებული. ბუნება კი სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ნაირია და ამის დაკვალად ადამიანის ცხოვრებაც სხვა და სხვა ნაირ სახეს ღებულობს სხვა და სხვა ადგილას. ზოგან, მაგალითად, მეთევზეობას მისდევენ, ზოგან მეჯოგეობას უმთავრესად იქ მისდევენ, სადაც ბუნება ღარიბია ხმელეთის ცხოველებით და მცენარეობით, ხოლო თევზი უფრო ბლომად იშოვება; მეჯოგეობას იქ ეტანებიან, სადაც მცენარეობა ნაკლებად არის, მოსაშინაურებელი ცხოველები-კი ბლომად; ნადირობას იქ მისდევენ, სადაც ნადირი უფრო ბევრია და სხ…

სულ პირველ ყოფილი ადამიანი უთუოდ ნაყოფებით საზრდოობდა და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ცეცხლის გაჩენა დაისწავლა, მან დაიწყო ყველაფრის ჭამა. ჩვენს დროშიაც, როცა კაცობრიობა მთელ დედა-მიწაზეა მოფენილი, ველური ცხელ ქვეყნებში მარტოოდენ მცენარეულ საზრდოთი იკვებება და მხოლოდ იმის-დაკვალად, რაც უფრო ცივ ქვეყნებში სცხოვრობს, სულ უფრო და უფრო ეტანება ხორცეულ საზრდოს. ამასთანავე მას არასოდეს არ ეკარგება გემო მცენარეულ საზრდოსადმი ასე, რომ ყინვიან ქვეყნების ესკიმოსებიც-კი დიდი სიამოვნებით ჭამენ მცენარის იმ ნაწილებს, რომლებსაც პოულობენ მოკლული ირმის მუცელში.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა ცხოვრება—განვითარებაში თვალ-საჩინო მნიშვნელობა აქვს საზრდოს რაოდენობას, მის მეტ-ნაკლებობას. მაგალითად გავიხსენოთ პოლინეზიელები. ბუნება რომ ამათ სრულიად მზარეულად არ აჩერებდეს ხელში ყოველ გვარ საზრდოს და ამის წყალობით უმუშავოდ და უვარჯიშოდ არ სტოვებდეს მათ ჭკუა გონებას, მაშინ მათ უეჭველად დაემჩნეოდათ განვითარების ნიშან-წყალი მაინც. ახლა კი პოლინეზიელების ტომი ფრიად განუვითარებელია და ამის მიზეზი, სხვათა შორის მაინც, უთუოდ საზრდოს სიმრავლეც არის.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამით მკითხველი იმას ნუ კი იფიქრებს, რომ საზრდოს სიმრავლე ყველგან და ყოველთვის აფერხებს ადამიანთა ცხოვრებასა. ძალიან ადვილი დასაჯერებელია, მაგალითად, რომ პირველ ადამიანს მხოლოდ იქ შეეძლო ეცხოვრა და დაეწყო განვითარება, სადაც მას ბლომად და ადვილად ეშოვებოდა საზრდო. პირიქით, ზოგან საზრდოს სიმრავლე შეიძლება აუცილებლად საჭირო კი იყო ადამიანთა ცხოვრება-განვითარებისათვის.

—ლი

თევზი—სანთელი. არა მგონია, რომ სადმე ისეთი ადგილი მოიპოვებოდეს, სადაც, როგორც ალიასკაში, (ჩრდილოეთ ამერიკა) გასანათებლად თევზსა ხმარობდნენ. თევზი—სანთელი სიგრძით 5—6 ვერშოკია. ამ თევზის ტანი სრულებით მჭვირია და უმეტესი ნაწილი ქონისაგან შესდგება, რომელსაც სუნი სრულებით არ უდის. ამ თევზის ქონი შეხედულობით ღორის ქონს მოგვაგონებს. ალიასკის მცხოვრებლები ამ თევზს ახმობენ და სანთლის ადგილას ხმარობენ, საიდგანაც ადგილობრივი სახელი წარმოსდგება — „candie ffich“ (თევზი — სანთელი). ერთი თევზი 15 წამს იწვის და დიდ სინათლესაც აძლევს, ანთებული თევზის ალი, რაც გინდა დიდმა ქარმა დაუბეროს, არ ჩაქრება და სანთელზე უფრო ძვირ მოგონებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც რამდენიმე ერთად შეკრული თევზი — სანთელს ზღვაზე ქარიშხალის დროს და ისიც ღამე ჭრაქის ადგილას ხმარობენ. ალიასკის მცხოვრებლები—მეთევზეები სწორედ რომ ესე იქცევიან: ღამე, თევზაობის დროს გასანათებლად თევზ.სანთელს ანთებენ და ჯერ ერთი, რომ იაფად უჯდებათ და მეორე, რომ ძლიერ დიდ სინათლეს და შუქს აძლევს: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

—

პატაგონელთა შესაზარი ჩვეულება. როგორც ინგლისის მოგზაურები ამბობენ, პატაგონელებს ჩვეულებათ აქვსთ ბებრების მოკვლა. ამ ვალდებულებას შვილები ასრულებენ. ხან ისე მოხდება ხოლმე, რომ თვით მშობლები უცხადებენ შვილებს სიკვდილის მოახლოვებას. მორიგდებიან თუ არა შვილები და მშობლები, მაშინვე დღესასწაულობას მართავენ, იწვევენ ნათესავებს და მეზობლებს და აქ ერთად არჩევენ მშობლების სიკვდილის და დამარხვის დღეს. მამა ან დედა, რომლებმაც სიკვდილი უნდა მიიღონ, შვილებთან და ნათესავებთან ერთად საფლავამდე რაღაცა გულ-შემატკივარ გალობით მიდიან. საფლავის მომზადებამდე დგანან და სულ გაჰყვირიან. გაათავებენ თუ არა საფლავის კეთებას, მამა ან დედა ნათესავებს ემშვიდობება, მერმე არხეინად წვება საფლავში და უფროსი შვილი მიწას აყრის, მინამ საფლავი მიწით არ აივსება, არც ერთი პატაგონელი შვილი არ დაანებებს თავს, რომ მიწა თავისს მშობელს სხვამ მიაყაროს, ეს იმიტომ, რომ ამ მოქმედებაში ცხადათ სჩანს შვილებრივი სიყვარული თავისს მშობლებთან.

ბებრებად პატაგონიაში ისინი ითვლებიან, ვისაც სიცოცხლე ორმოც წელს გადასცდა. ავადმყოფები-კი ზემო აღნიშნულ დროზე უფრო ადრე ესალმებიან სიცოცხლეს.

პავლე მოსულიშვილი

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 მაისი

**ვეი-ხაი-ვეი**. პრინცი ჰენრიხ პრუსიელი მოვიდა აქ გუშინ, ინახულა მთავრობა და შემდეგ სეიმურთან ერთად დაათვალიერა ბრიტანიის სამფლობელო.

**ვაშინგტონი**. საურთიერთო სავაჭრო შეთანხმება უკვე მოხდა საფრანგეთთან.

**ნიუ-იორკი**. მოლაპარაკება შეერთებულ შტატებსა და კანადას შუა იმდენად წარმატებით დაგვირგვინდა, რომ ყველა სადავო პუნქტები გამოირკვა.

იუწყებიან, რომ სანტ-იაგოში სერვერს გადაუყვანია არტილერისტები და ინჟინრები და გადაუტანია 20,000 მაუზერის თოფი, მრავალი ტყვია-წამალი და მოწყობილება მძიმე იარაღთათვის.

**ლონდონი**. გაზ. „times“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ნიუ-იორკიდან, მე მონდობილი მაქვს განვაცხადო, რომ არავითარი მოლაპარაკება კავშირის შესახებ არ მომხდარა შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის არც ახლა და არც წინადაო.

**პარიჟი**. ახალშენების მინისტრი ლებონი სამსახურიდან გამოვიდა, ჰანოტომ დროებით ჩაიბარა ახალშენების სამინისტროს მმართველობა.

**ვაშინგტონი**. გენერალი მაილსი წავიდა შტაბით ტამპაში, სადაც ჩაჯდება სწრაფ-მავალ კრეისერში საომარ ასპარეზზე წასასვლელად.

კივესტიდან იუწყებიან, რომ ტრანსპორტის ფლოტი მიდის მაიზის კონცხისაკენ, კუბის აღმოსავლეთით. იქ გადასწყდება, სანტ-იაგოში უნდა იქმნეს წასხმული ჯარი, თუ პორტო-რიკოში. თუ ამ ხნის განმავლობაში შლეიმ მოახერხა სერვერის ფლოტის განადგურება, ექსპედიცია გაემართება პორტორიკოსაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარს მიასხმენ სანტ-იაგოს ხმელეთიდან.

**ნიუ-იორკი**. გავანიდან იტყობინებიან, რომ ნაშუადღევის 2 საათიდან ამერიკის ფლოტი ზარბაზნებს უშენს სანტ-იაგოსთან სანაპირო ბატარეებს. ამას დასძენენ, რომ ამავე დროს ამერიკის გემებმა ბრძოლა გაუმართეს ისპანიის ფლოტსაო. ბრძოლა ძლიერ გაცხარდა $3^3/_4$ საათზე ზარბაზნების სროლა სანაპირო ბატარეების წინააღმდეგ შესუსტდა, მაგრამ გაძლიერდა ორსავე ფლოტს შუა.

**მადრიდი**. ისპანიის მრავალი გემი, რომლებსაც ამერიკის ნავთი მოჰქონდათ ისპანიაში, ამიერიდან რუსეთის ნავთის ზიდვას დაიწყებენ. რამდენიმე დიდი გემი უკვე გაემგზავრა ბათომს.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

**რამდენიმე ლექსი**

**ნიკოსი**

ფასი ერთი შაური.

ვინც არა ნაკლებ ოც ცალს იყიდის, მას დაეთმობა მანეთზე 30 პროცენტი.

უმთავრესი საწყობი თბილისში, იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ადრესი: Тифлисъ, Георгіевская ул, книж магазинъ І. З. Имедашвили.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

(იყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკსიკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერსავე ყდით (თითო) | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით | 1 25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | „ 25 |
| სალხური ზღაპრები I ნაწილი იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით | „—30<br>2—50 |
| იგივე ტომი III | 1—„ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 3—„ |
| ჩანგი | 1—„ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | 0—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი II | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—57 |
| იგივე კარგს ქაღალდზე | 1—50 |
| სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით | 1—„ |
| იგავ-არაკნი, მისივე | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—50 |
| ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა | 1—„ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩის, | 1—50 |
| დასტურ-ლამა თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისა | „—30 |

(100—75)

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლეულის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალი ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1898 წ.

ფასი თითო ნაჭერისა **50** კაპ., $1/_2$ ნაჭერი **30** კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს, დეპო ტფილისში აგმოუ ვთან კავკასიაში სააფთიაქო ნივთებ ითმოვა-, პრე ამხანაგობასთან, წურინო ნ2ან, გრივნიკთან, ძმ. პოპოვებთან» და არისტაკოვთან. (24—23)

ახლად გახსნილი

**სტამბა**

**„ცნობის ფურცლისა“**

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 12[illegible]

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველ-გვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად. სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მ[illegible] რველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერ[illegible] აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შეს[illegible] რებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს საგაზეტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებ[illegible] და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

**ТИПОГРАФІИ**

**„Цнобисъ пурцели“**

(В. Л. Гуніа)

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ язык[illegible]

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія.**

საზღვევი საზოგადოება

**„იაკორი“**

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

დებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიი[illegible]ებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლებ[illegible] მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Цицінова № 2. (50—19)

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгальтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой [illegible]ышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній—

реподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. се[illegible] хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-[illegible] часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣся[illegible]

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и шко[illegible] садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетах[illegible] 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) то[illegible]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи 20(5 з[illegible]дачъ и таблицы). Цѣна 2 руб **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—11)